ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 253

17 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ამაღლების ქუჩა №12-ში არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.092.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან ტაპასთვის" (ს/კ: 406238174) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ამაღლების ქუჩა N12-ში არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.15.05.092.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ ჯორჯიან ტაპასთვის" (ს/კ: 406238174) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს N18.626.952 განკარგულებით გათვალისწინებული <u>უძრავი ქონების</u>: ქალაქ თბილისში, ამაღლების ქუჩა N12-ში არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.15.05.092.029) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიან ტაპასთვის" (ს/კ: 406238174) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფომით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 100 (ორი ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**